



# ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 349  
13/02/2018

ქალაქი ბათუმი

349-05-4-201802131431



### შ.პ.ს „ბრავო“-ზე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების შესახებ

მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 7 თებერვლის №401-05 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2017 წლის 12 დეკემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ბრავო“-ს შორის გაფორმებული №04 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „ბრავო“-მ მოაწოდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას 250 ლარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპორტული ღონისძიებისათვის საჭირო საქონელი. აღნიშნული თანხის 250 ლარის ჩარიცხვა ვერ განხორციელდა 2017 წელს, რის გამოც დარჩა დავალიანება შ.პ.ს „ბრავო“-ს მიმართ. მიმდინარე წელს, რომ განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ამისათვის საჭიროა გამოიცეს სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების კლების მუხლიდან.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტარიელ ნაკაშიძის 2018 წლის 7 თებერვლის №401-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შ.პ.ს „ბრავო“-ზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 250 ლარის ანაზღაურება მოხდეს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელის ქმედითი ღონისძიებები თანხის გადარიცხვის უზრუნველსაყოფად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა